

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N1

ქ.თბილისი

3 დეკემბერი, 2021 წელი
12⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

ზურაბ აბაშიძე	ლევან აბაშიძე
აკაკი ალადაშვილი	ლევან არველაძე
გიორგი ახვლედიანი	თორნიკე ბიკაშვილი
ვლადიმერ ბოჭაძე	საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე	ოთარ გრიგოლია
შოთა გრიგოლია	მამუკა გუგუშაშვილი
ლევან დავითაშვილი	ირაკლი ებგვერაძე
ნინო ვარდოსანიძე	კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე	ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე	ნიკოლოზ კახეთელიძე
თენგიზ კირთაძე	სალომე კობალაძე
ზვიად კუპრავა	კახაბერ ლაბუჩიძე
ლილე ლიპარტიელიანი	ნათია მოდებაძე
ირაკლი ნადირაძე	თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ონიანი	გურამ ოქროპირიძე
ლევან ჟორჟოლიანი	ალექსანდრე რატიშვილი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
გიორგი ტყემალაძე	გიორგი შარაშიძე
გიორგი ჩაკვეტაძე	ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი	ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	სოფიო ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი	

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილი;

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი გიორგი ჯავახიშვილი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, მოიწვია საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და გახსნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკრებულოს წევრებს მიულოცა 2021 წლის 2 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს არჩევნებში გამარჯვება. მისი თქმით, თვითმმართველობის ორგანოში არჩევა დიდი პასუხისმგებლობაა, რომელიც მათ დააკისრეს ამომრჩევლებმა და საკრებულოს წევრებს უსურვა, წარმატებით განახორციელონ საქმიანობა. გიორგი კალანდარიშვილმა მადლობა გადაუხადა საქართველოს მოქალაქეებს არჩევნებში აქტიურობისთვის და განაცხადა, რომ ქვეყანაში არსებული პანდემიის და გამოწვევების მიუხედავად, 2021 წლის თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები ორგანიზებული იყო პროფესიულ დონეზე, ჩატარდა კარგად და კენჭისყრის დღემ მშვიდ, კონკურენტულ და გამჭვირვალე გარემოში ჩაიარა, რასაც ადასტურებს ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების დასკვნები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული არჩევნების შედეგების შესახებ და საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ერთიანი ოქმი, რომლის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 წევრი არჩეულია მაჟორიტარული სისტემით, ხოლო პროპორციული სისტემით საკრებულოს წევრების 40 მანდატი გადანაწილებულია ექვს საარჩევნო სუბიექტზე შემდეგნაირად:

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - 19 მანდატი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 13 მანდატი.

„გახარია - საქართველოსთვის“ - 4 მანდატი.

„ლელო“ - 2 მანდატი.

„ზურაბ გირჩი ჯაფარიძე: გირჩი - მეტი თავისუფლება“ - 1 მანდატი.

„ანა დოლიძე - ხალხისთვის“ - 1 მანდატი.

გიორგი კალანდარიშვილმა საკრებულოს პირველი სხდომის თავმჯდომარედ მიიწვია საკრებულოს უხუცესი წევრი ნიკოლოზ კახეთელიძე და გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ერთიანი ოქმი, თანდართული დოკუმენტაციით.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ნიკოლოზ კახეთელიძემ დაიკავა მისთვის განკუთვნილი ადგილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, კოლეგებს მიულოცა საკრებულოს წევრობა და უსურვა, ღირსეულად შეასრულონ ის ფუნქცია, რაც დააკისრეს თბილისელებმა. ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომას წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებად პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული წევრების სია და კენჭისყრაზე დააყენა მათი უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

საკრებულოს წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რის შემდეგაც საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;
მომხსენებელი: სხდომის თავმჯდომარე
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თენგიზ კირთაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ რეგისტრაციის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ რეგისტრაციის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ რეგისტრაციის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვთების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;
მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ბადრი ჯაფარიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე ნიკოლოზ კახეთელიძემ და მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატები.

ოთარ გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, კოლეგებს მიულოცა საკრებულოს წევრობა, წარმატებები უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ მეშვიდე მოწვევის საკრებულოს საქმიანობა იქნება ისეთივე ღირსეული, როგორც იყო გასული ოთხი წელი. ოთარ გრიგოლიამ სხდომას გააცნო წერილობითი წარდგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის არჩევის შესახებ და აღნიშნა, რომ წარდგინებას ხელს აწერს საკრებულოს წევრთა უმრავლესობა (წარდგინება ოქმს თან ერთვის).

ნიკოლოზ კახეთელიძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილია მხოლოდ ერთი კანდიდატურა და მიმართა გიორგი ტყემალაძეს, არის თუ არა თანახმა კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. გიორგი ტყემალაძის თანხმობის შემდეგ, ნიკოლოზ კახეთელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის არჩევის შესახებ.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, კოლეგებს მიულოცა თბილისელების მხრიდან ნდობის გამოცხადება და მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის. განაცხადა, რომ „დიდი პასუხისმგებლობაა იყო საკრებულოს წევრი და ატარო ეს მანდატი“. მან იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს წევრები ერთობლივად შეძლებენ განახორციელონ ის საქმიანობა, რომელიც სასიკეთო იქნება თითოეული ჩვენი თანამოქალაქისთვის. საუბრის ბოლოს, თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, იყვნენ კონსტრუქციულად განწყობილები, აქტიურად ჩაერთონ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც იქნება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

სოფიო ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ბათუმის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა უნდა გაეხსნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს ნუგზარ ფუტყარაძეს, რომელიც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა და თხოვნით მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა აბაშის საკრებულოს წევრიც ზურაბ შუბლაძე და თბილისის საკრებულოს წევრები, რა თქმა უნდა, პატივს მიაგენებ მათ ხსოვნას.

საკრებულოს წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილების ხსოვნას.

სოფიო ჯაფარიძემ მიუსამძიმრა გარდაცვლილი კოლეგების ოჯახის წევრებს და გამოეხმაურა გიორგი კალანდარიშვილის გამოსვლას, რომელმაც, მისი თქმით, „დიდი სიამაყით და სიმშვიდით წარმოგვიდგინა არჩევნების შედეგები, თითქოს, ასეთი საამაყო და სანიმუშო არჩევნები ჩაატარეს“. სამწუხაროდ, რეალობა იყო სრულიად საპირისპირო და განსხვავებული, რადგან წინასაარჩევნოდ, ყოველდღიურად ვუყურებდით ადამიანების მოსყიდვას, დაშინებას, ძალადობას და იმას, თუ როგორ იყენებდა ხელისუფლება, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე, ფინანსურ რესურსს მის საკეთილდღეოდ. ხოლო არჩევნების დღეს ვუყურებდით ე.წ.

„კარუსელებს“, ფულის დარიგებას და თუ როგორ ეხმარებოდნენ „სუსის“ წარმომადგენლები და კრიმინალები „ქართულ ოცნებას“. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ოპოზიციამ შეძლო და მოიგო არჩევნები გარკვეულ მუნიციპალიტეტებში, მათ შორის ბათუმში, რის შემდეგაც დაიწყო ზეწოლა და მოსყიდვის მცდელობები კონკრეტული დეპუტატების მიმართ, რასაც ემსხვერპლა ნუგზარ ფუტყარაძე. მისი თქმით, სწორედ აქედან გამომდინარე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები თვლიან, რომ არ აქვთ მორალური უფლება, დაესწრონ საკრებულოს დღევანდელ სხდომას და შექმნან ე.წ. „დემოკრატიის ფასადი, თითქოს, არაფერი ხდება და ყველაფერი არის კარგად“.

სოფიო ჯაფარიძის გამოსვლის შემდეგ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, პროტესტის ნიშნად, დატოვეს საკრებულოს სხდომა.

გიორგი ტყემალაძემ იმედი გამოთქვა, რომ მომავალში საკრებულოს სხდომებზე საქმიანობას განახორციელებენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებთან ერთად და საკრებულოს წევრებს წარუდგინა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ხსენებულ თანამდებობაზე დაასახელა გიორგი ახვლედიანის კანდიდატურა და აღნიშნა, რომ იგი მეექვსე მოწვევის საკრებულოში იკავებდა ამავე თანამდებობას და საკამოდ წარმატებულად ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობაზე გიორგი ახვლედიანის არჩევის შესახებ.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ხსენებულ თანამდებობაზე დაასახელა თინათინ ნიბლოშვილის კანდიდატურა და აღნიშნა, რომ მან მეექვსე მოწვევის საკრებულოში წარმატებით განახორციელა თავისი უფლებასილებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე თინათინ ნიბლოშვილის არჩევის შესახებ.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ხსენებულ თანამდებობაზე დაასახელა ზურაბ აბაშიძის კანდიდატურა და აღნიშნა, რომ მისი პროფესიული გამოცდილება საკრებულოსთვის იქნება ძალიან დიდი შენაძენი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ზურაბ აბაშიძის არჩევის შესახებ.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს წევრების მიერ შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით, გამოაცხადა ორსაათიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ოცდაშვიდმა წევრმა.

ალექსანდრე რატიშვილი მიესალმა კოლეგებს და იმედი გამოთქვა, რომ მათი მომავალი თანამშრომლობა იქნება ურთიერთსასარგებლო და წარმატებული. განაცხადა, რომ „არასასიამოვნოდ გაკვირვებულია“ ამა თუ იმ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატების წარდგენის პროცედურით, რადგან ფიქრობდა, რომ იქნებოდა „მეტი დემოკრატიის ხარისხი და საკითხის უფრო სიღრმისეული განხილვა“. მისი თქმით, საჭირო იყო, მინიმუმ მათი ბიოგრაფიების წარდგენა, რათა საკრებულოს ახალარჩეულ წევრებს წარმოედგინა ჰქონოდათ, თუ რა კრიტერიუმებით და რა დამსახურებისთვის შეირჩა ესა თუ ის კანდიდატი. განაცხადა, რომ „მე არავის საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, ამ გადმოსახედიდან, არაფერი მაქვს“, მაგრამ დემოკრატიის, ურთიერთპატივისცემის და კოლეგიალობის საკითხია ის, რომ ახალარჩეულ დეპუტატებს გააცნო ამა თუ იმ თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატის ბიოგრაფია.

საბა ზუაძე მიესალმა კოლეგებს, მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წარმატებები უსურვა თბილისის საკეთილდღეო საქმეების კეთებაში და იმედი გამოთქვა, რომ თბილისის საკრებულო გახდება უკეთესი პოლიტიკური კულტურის მაგალითი და ჩვენ მოვახერხებთ, რომ თანამშრომლობის და ღირსეული ოპონირების გზით, ამ ქალაქის ცხოვრება გავხადოთ უკეთესი. საბა ზუაძე გამოეხმაურა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებს და განაცხადა: „რომ არა გასული არჩევნები და გასულ არჩევნებზე არსებული ფალსიფიკაცია, დღევანდელი შემადგენლობა, მათ შორის ამ საკრებულოში, იქნებოდა გაცილებით უფრო სხვანაირი, პოლიტიკური კლიმატი იქნებოდა გაცილებით უფრო სხვანაირი და გაცილებით უფრო ჯანსაღი. მაგრამ, ჩვენ ვაგრძელებთ ამ პროცესში მონაწილეობას, ვაგრძელებთ ბრძოლას ხელისუფლების არჩევნების გზით ცვლილებისთვის და საკრებულო, განსაკუთრებით, მეშვიდე მოწვევის საკრებულო, უნდა გავხადოთ ის მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც გაისმება თბილისელების პრობლემები“. საბა ზუაძემ აქვე, მიმართა თბილისელებს: „ეს არის თქვენი საკრებულო, ეს არის თქვენი მიკროფონი და ყველა იმ ადამიანს, რომელიც ეძებს სამართალს, ყველა იმ ადამიანს, რომელიც დაიჩაგრა, რომელიც გაჭირვების და ამ პოლიტიკური პროცესების გამო არის სასოწარკვეთაში, მიიწია ვუთხრა, რომ მოზრძანდნენ აქ, მათთვის საკრებულოს კარი არის ღია და ჩვენ, როგორც საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები, გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ეს საკრებულო გადაიქცეს შესაძლებლობების ადგილად, პირველ რიგში, ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის“. მან იმედი გამოთქვა, რომ წინა მოწვევის საკრებულოსგან განსხვავებით, რომელმაც პირადად მას თავი დაამახსოვრა ფიზიკური დაპირისპირებით და ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლების ეპატაჟური გამოსვლებით, ეს საკრებულო გააკეთებს უფრო მნიშვნელოვან საქმეებს და მისი მუშაობა იქნება უფრო დასამახსოვრებელი.

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა საბა ზუაძის განცხადებას და იმედი გამოთქვა, რომ მეშვიდე მოწვევის საკრებულო იქნება კიდევ უფრო წარმატებული, ვიდრე იყო მეექვსე მოწვევის საკრებულო. თუმცა, ეს ნამდვილად არ ნიშნავს იმას, რომ წინა მოწვევის საკრებულოში იყო მხოლოდ ჩხუბი და დაპირისპირება, რადგან შეგვიძლია გავიხსენოთ ძალიან ბევრი

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რასაც კოლეგები თავად ნახავენ მომავალ სამუშაო პროცესში. აქვე, ისიც განაცხადა, რომ საკრებულომ კიდევ უფრო მეტი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ჩვენმა თანამოქალაქებმა კიდევ უფრო კარგად შეიგძნონ საკრებულოს ყოველდღიური საქმიანობა. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ მომავალში, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საკრებულოს წევრების ჯანსაღი და კონსტრუქციული მსჯელობა თემატურ საკითხებთან დაკავშირებით, რადგან წინა მოწვევის საკრებულოში, ხშირ შემთხვევაში იყო „პოლიტიკური დღის წესრიგი“. მართალია, პოლიტიკური დღის წესრიგი თან სდევს ამ პროცესს, თუმცა არსებობს გარკვეული ზღვარი და თუ ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან მომავალშიც იქნება ის საქმიანი განწყობა, რასაც აფიქსირებენ დღეს, ეს წაადგება, როგორც საკრებულოს, ასევე ჩვენს ქალაქს.

ოთარ გრიგოლიამ აღნიშნა, რომ თანამშრომლობისკენ გაკეთებული მოწოდებები მისასაღმებელია, განაცხადა, რომ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრები მზად არიან ყველასთან თანამშრომლობისთვის და მათთვის საინტერესო იქნება, ნებისმიერ ფორმატში წინადადებების მოსმენა და ხშირ შემთხვევაში, მათი გათვალისწინება, თუ ისინი წაადგება ჩვენს ქალაქს. აქვე, გამოეხმაურა მეექვსე მოწვევის საკრებულოსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ვერ გაიზიარებს მოსაზრებას, რომ მეექვსე მოწვევის საკრებულოში რაღაცები არ კეთდებოდა, რადგან, სწორედ ეს პერიოდი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტიური პერიოდი. სწორედ წინა მოწვევის საკრებულოს დროს იქნა მიღებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; საკრებულოს პირდაპირი ჩართულობით მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ბიუჯეტირების ნაწილში; უდიდესი როლი ითამაშა საკრებულომ იმაში, რომ ხვალ, ათი ათასზე მეტ ოჯახს, რომლებიც არაკეთილსინდისიერმა დეველოპერებმა დატოვეს ფაქტობრივად ქუჩაში, ექნება საკუთარი სახლი და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. განაცხადა, რომ არაკორექტული იქნება იმის თქმა, თითქოს, წინა მოწვევის საკრებულოში მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა და მადლობა გადაუხადა წინა მოწვევის საკრებულოს ყველა წევრს იმ დიდი შრომისთვის, რომელიც მათ გასწიეს ოთხი წლის განმავლობაში.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თენგიზ კირთაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. აღნიშნა, რომ 2021 წლის 3 დეკემბერს, საკრებულოს წევრმა თენგიზ კირთაძემ, უფლებამოსილების მოხსნის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართა საკრებულოს და მას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის თენგიზ კირთაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საკრებულოს ფრაქციების შექმნასთან დაკავშირებით, მის სახელზე რეგისტრირებულია განცხადებები. აქვე განმარტა, რომ წარდგენილი დოკუმენტაცია განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულმა განყოფილებამ, რომლის დასკვნის თანახმად, განცხადებები და თანდართული მასალა (ფრაქციების პოლიტიკური პლატფორმა და წესდება) აკმაყოფილებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით ფრაქციის რეგისტრაციისთვის საჭირო აუცილებელ მოთხოვნებს და უნდა გატარდეს რეგისტრაციაში.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ რეგისტრაციის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ ფრაქციაში

გაწევრიანებულია საკრებულოს 29 წევრი, ფრაქციის თავმჯდომარეა ოთარ გრიგოლია და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რეგისტრაციის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ ფრაქციაში გაწევრიანებულია საკრებულოს 13 წევრი, ფრაქციის თავმჯდომარეა ირაკლი ნადირაძე და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ რეგისტრაციის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. განმარტა, რომ ფრაქციაში გაწევრიანებულია საკრებულოს 3 წევრი, ფრაქციის თავმჯდომარეა ზაზა თავაძე და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ თითოეული კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება საკრებულოს თერთმეტი წევრით, ხოლო კვოტები გადანაწილებული იქნება შემდეგნაირად: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ექვსი წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - სამი წევრი, ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ - ერთი წევრი და საკრებულოს დამოუკიდებელი წევრები - ერთი წევრი.

ალექსანდრე რატიშვილი დაინტერესდა, რა არის კვოტების ამ წესით გადანაწილების პრინციპი.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ზოგადად, კვოტების გადანაწილების მთავარი არსი აწყობილი უნდა იყოს ლოგიკაზე და შესაბამისად, ფრაქციას, რომელსაც საკრებულოში აქვს უმრავლესობა, უმრავლესობა უნდა ჰქონდეს ყველა კომისიაშიც, აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი შემოთავაზება დაფუძნებულია საკრებულოს ფრაქციების წევრების და დამოუკიდებელი დეპუტატების რაოდენობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს წევრებს მიმართა დაეფიქსირებინათ, თუ რომელ კომისიაში სურთ გაწევრიანება და საკრებულოს წევრების მიერ შესაბამისი პროცედურების გავლის მიზნით, გამოაცხადა ერთსაათიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ოცდაშვიდმა წევრმა

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და სხდომას გააცნო კომისიების შემადგენლობა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა, დანართის სახით, ოქმს თან ერთვის. ოქმს თან ერთვის ასევე, ფრაქციების წარდგინებები და საკრებულოს წევრების განცხადებები). გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ორ დამოუკიდებელ წევრს ალექსანდრე რატიშვილს და საბა ბუაძეს აქვთ სურვილი გაწევრიანდნენ ერთსა და იმავე კომისიებში და მიმართა მათ, მიაღწიონ შეთანხმებას, რადგან თუ არ შეცვლიან განცხადებებს, სამწუხაროდ, ვერც ერთი მათგანი ვერ გაწევრიანდება ვერც ერთ კომისიაში.

ალექსანდრე რატიშვილმა და საბა ბუაძემ განაცხადეს, რომ მათ სურვილი აქვთ გაწევრიანდნენ საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიებში და რადგან, საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული რეგულაციების თანახმად, ამის შესაძლებლობა არ ეძლევათ, მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად, საკრებულოს დამოუკიდებელ წევრს აქვს ვალდებულება იყოს საკრებულოს კომისიის წევრი და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ „რეგლამენტით და თქვენი განკარგულებით ვერ შეუზღუდავთ ვერავის იყოს კომისიის წევრი“. მისი თქმით, ეს არის საკრებულოს წევრის შეზღუდვა და თუ ეს საკითხი უცვლელად დარჩება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შეუერთება საკრებულოს დამოუკიდებელი წევრების მოთხოვნას.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ საკრებულო არავის უფლებას არ ზღუდავს, იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს დამოუკიდებელი წევრები მიაღწევენ შეთანხმებას და აქვე, თხოვნით მიმართა საკრებულოს კომისიების მომავალ თავმჯდომარეებს, რომ არც ერთი კომისია არ იქნას ჩატარებული საკრებულოს დამოუკიდებელი წევრების ინფორმირების გარეშე, რათა ორივე მათგანს ჰქონდეს ჩართულობის შესაძლებლობა ყველა კომისიაში.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების თანამდებობებზე არჩევასთან დაკავშირებით მის სახელზე შესულია საკრებულოს წევრების მიერ მომზადებული წარდგინებები (წარდგინებები ოქმს თან ერთვის). აღნიშნა, რომ კომისიების თავმჯდომარეებად წარდგენილი რამდენიმე კანდიდატი მეექვსე მოწვევის საკრებულოში წარმატებით ხელმძღვანელობდა იმავე კომისიას, რომლის თავმჯდომარის თანამდებობაზეც დღეს არის დასახელებული, ხოლო რამდენიმე კანდიდატი არის ყოფილი გამგებელი და საჯარო მოხელე, რომლებიც ასევე წარმატებით ახორციელებდნენ თავიანთ უფლებამოსილებას. გიორგი ტყემალაძემ წარმატებები უსურვა თითოეულ მათგანს და თანმიმდევრულად წარადგინა მათი კანდიდატურები.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან ჟორჟოლიანის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ირაკლი ხელაძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ზურაბ ჩიკვილაძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე კახაბერ ლაბუჩიძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნიკოლოზ კახეთელიძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან არველაძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიციერებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ნინო ვარდოსანიძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე გიორგი ჩაკვეტაძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, მისთვის პატივია ის, რომ საშუალება ეძლევა მეორე ვადით იყოს თბილისის საკრებულოს წევრი და გაათმაგებული ენერჯით ეცდება, კოლეგებთან ერთად, წვლილი შეიტანოს ჩვენი ქალაქის განვითარებაში. მოხარულია, რომ მეშვიდე მოწვევის საკრებულოში წარმოდგენილია ბევრი მისი თანატოლი და ბევრ მათგანს ეძლევა საშუალება, დააფიქსიროს თავისი აზრი და პოზიცია ახალგაზრდულ საკითხებზე. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ თითოეულ მხარდამჭერს და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თითოეულ წევრს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს 2021 წლის არჩევნებში. მადლობა გადაუხადა ასევე, კახა კალაძეს, გიორგი ტყემალაძეს, კოლეგებს და იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივი ძალებით გააგრძელებენ მუშაობას, რათა სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით ყველა დაწყებული პროექტი ღირსეულად დასრულდეს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე რევაზ სოხაძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ლევან ჯაფარიძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე შალვა ოგბაიძის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ხსენებულ თანამდებობაზე დაასახელა ბადრი გიორგიძის კანდიდატურა, აღნიშნა, რომ იგი უკვე წლებია საკმაოდ წარმატებულად მუშაობს ამ თანამდებობაზე და მისი მხრიდან წარმოდგენილი იყო არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი. გიორგი ტყემალაძემ აქვე აღნიშნა, რომ ბადრი გიორგიძე, ინფიცირებულია კორონავირუსით და ამიტომ ვერ ესწრება საკრებულოს მიმდინარე სხდომას, თუმცა, საკრებულოს წევრებს, შესაძლებლობა აქვთ, ვიდეოჩართვის საშუალებით, დაუსვან კითხვები.

ბადრი გიორგიძე მიესალმა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მოუბოდიშა, რომ ვერ ესწრება საკრებულოს სხდომას. აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩეული იქნა წინა მოწვევის საკრებულოს მიერ და კანონმდებლობის შესაბამისად, წლებია ახორციელებს საქმიანობას. სამსახურს შემუშავებული აქვს, როგორც წლიური, ასევე, სტრატეგიული გეგმები, სადაც ასახულია რა წარმოადგენს რისკ-ფაქტორებს, რა - პრიორიტეტებს და ის ძირითადი მიმართულებები, რომლებზეც მუშაობს სამსახური. სამსახურის საქმიანობა მოიცავს, როგორც პრევენციულ ღონისძიებებს, ასევე, რიგი გადაცდომების შემთხვევაში, ამ ქმედებების შეფასებას და შესაბამის ორგანოებში გადაგზავნას. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან და მასთან ერთად ჩართულია თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულების შემოწმების პროცესში,

რაც მისი თქმით, ხელს უწყობს იმ მიზანს, რასაც ემსახურება შიდა აუდიტის და მონიტორინგის სამსახური - ხელი შეუწყოს სახსრების რაციონალურ და ეფექტურ ხარჯვას. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ ყოველი წლის ბოლოს, თბილისის საკრებულოს ეგზავნება ანგარიში, სადაც დეტალურადაა ასახული სამსახურის საქმიანობის მასალები.

